

## თბილისის სააპელაციო სასამართლოს

კერძო საჩივრის ავტორი: შოთა ბუჩუკური

ნარმომადგენლები:

ნინო გუჯარაიძე

ირმა მახათაძე

## კერძო საჩივარი

/თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22  
ოქტომბრის განჩინება (საქმე №3/6054-17)/

12.11.2018 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22  
ოქტომბრის განჩინებით (საქმე №3/6054-17) შოთა ბუჩუკურის სარჩელზე მოპასუხეების: სსიპ  
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო  
ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 23 მარტის №54-04 ბრძანებისა და 2016 წლის 19  
ივლისის №121-04 ბრძანების, ასევე, მათზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის  
დაკმაყოფილებაზე უარის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სასკ-ის მე-2, 22-ე, 262 მუხლის  
თანახმად შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო.

სასამართლომ მიუთითა, რომ 2017 წლის 4 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შოთა ბუჩუკურმა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო  
ზედამხედველობის სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტროს მიმართ წარმოადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016  
წლის 23 მარტის №54-04 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის  
მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-სტეფანწმინდას“  
პროექტისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016  
წლის 19 ივლისის №121-04 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებულ იქნა „ქსნის“ ქვესადგურიდან  
დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-  
სტეფანწმინდას“ კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;

3. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 7 ოქტომბრის №179-04 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებულ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;

5. ბათილად იქნეს ცნობილი ზემოაღნიშნულ აქტებზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის სექტემბრის განჩინებით სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო და მოცემულ ეტაპზე დასაშვებად ცნო.

2018 წლის 4 ივნისის სხდომაზე მოპასუხე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენელმა წარმოადგინა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებები, რომლებითაც დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის ცვლილებაზე (დუშეთის მუნიციპალიტეტის 12 კმ-იან შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთი) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა, კონსტრუქციული სქემა შეთანხმდა და მშენებლობის ნებართვა გაიცა.

2018 წლის 17 ოქტომბერს სასამართლოს წარედგინა შოთა ბუჩუკურის დაბუსტებული სარჩელი, რომლითაც თავდაპირველ სარჩელში ასახულ მოთხოვნებთან ერთად მოთხოვნილ იქნა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინებებით შოთა ბუჩუკურის სარჩელზე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 7 ოქტომბრის №179-04 ბრძანებისა და 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანების, ასევე, მათზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, ხოლო სარჩელს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში უარი ეთქვა მიღებაზე.

**სასამართლოს მოსაზრებით განსახილველ საქმის მასალებით არ ირკვევა რომ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 23 მარტის №54-04 ბრძანება და 2016 წლის 19 ივლისის №121-04 ბრძანება მოსარჩელეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს.**

მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლების განმარტებით, მითითებული აქტების მოქმედება მოსარჩელისათვის ზიანის მომტანია, ვინაიდან 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის განხორციელება განაპირობებს ელექტროგადამცემი ხაზის გავლას მოსარჩელის კუთვნილ საცხოვრებელ სახლთან, რომელიც მდებარეობს სოფელ ახალციხეში. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელე შოთა ბუჩუკური ცხოვრობს თბილისში, სოფელ ახალციხეში ქონების მფლობელობასა თუ საკუთრებასთან დაკავშირებით მტკიცებულებები კი წარმოდგენილი არ ყოფილა. **ამასთან, სოფელი ახალციხე საერთოდ არ ექცევა „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე საპროექტო მონაკვეთში.**

**საქალაქო სასამართლოს მიერ წინამდებარე განჩინება გამოტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის ა”, “ბ”, “გ” და 394-ე მუხლის “ე” პრიმა, 285-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტების დარღვევით. კერძოდ: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია.**

1. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას.

გასაჩივრებული განჩინებით დასტურდება, რომ სასამართლომ სარჩელის განხილვის ამ სტადიაზე (დასაშვებობის) სარჩელზე შეწყვიტა საქმის წარმოება, იმ საფუძველით, რომ საქმის მასალებით არ ირკვევა - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 23 მარტის №54-04 ბრძანება და 2016 წლის 19 ივლისის №121-04 ბრძანება მოსარჩელეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს და რომ სოფელი ახალციხე საერთოდ არ ექცევა „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე საპროექტო მონაკვეთში.

საგულისხმოა, რომ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს არანაირ მსჯელობას იმის შესახებ, თუ რამდენ კილომეტრს შეადგენს „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი, რამდენ კილომეტრს შეადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთი და 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის 12 კმ-იან მონაკვეთის ნაწილში შეტანილი ცვლილებების გამო ამ ნაწილში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები რატომ აღარ აყენებს სადავო შედეგს და საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე რატომ არ ადგება მოსარჩელის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს პირდაპირ და უშუალო ზიანი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. გასაჩივრებული განჩინება სრულიად დაუსაბუთებელია, წინამდებარე სარჩელთან დაკავშირებით დადასტურებულად აქვს ადგილი სასამართლოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე უკანონოდ უარის თქმის ფაქტს, რითაც უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის~ ვეროპული კონვენციის ფუძემდებლური დებულებები.

2. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სსსკ-ის 102-ე მუხლი, სასკ-ის 1.2, მე-4 და მე-19 მუხლები და უხეშად დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინკვიზიციურობის პრინციპი. გასაჩივრებული განჩინებით ირკვევა - სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგინილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შოთა ბურჯუკური ცხოვრობს თბილისში, ხოლო სოფელ ახალციხეში ქონების მფლობელობასა თუ საკუთრებასთან, ასევე, ქონების ბუსტ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით მტკიცებულებები მის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. თუმცა სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლების განმარტებით, მითითებული აქტების მოქმედება მოსარჩელისათვის ზიანის მომტანია, ვინაიდან 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის განხორციელება განაპირობებს ელექტროგადამცემი ხაზის გავლას მოსარჩელის კუთვნილ საცხოვრებელ სახლთან, რომელიც მდებარეობს სოფელ ახალციხეში (საყურადღებოა, რომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი არის მითითებული, რომელიც სასამართლოს მიერ განსახილველ შემთხვევაში უგულვებელყოფილია).

იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ არ დაადგინა, თუ რამდენ კილომეტრს შეადგენდა „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი

და რამდენ კილომეტრს შეადგენდა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთი, როდესაც ამ მონაკვეთის მხოლოდ 12 კმ ნაწილშია განხორციელებული ცვლილება, როდესაც ეგხ-ს დასახელებული მონაკვეთები შეადგენს **ერთ მთლიან „ქსანი-სტეფანწმინდას“ პროექტს**, როდესაც სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად მხარის ახსნა-განმარტება წარმოადგენს მტკიცებულებას, ხოლო სასკ-ის 17.2 მუხლის თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მათ შორის დასაშვებობის საკითხის გადანყვეტისას, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს და ადმინისტრაციულ ორგანოს საქმეზე არ წარმოუდგენია საწინააღმდეგოს დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, არც სასამართლოს არ გამოუყენებია მინიჭებული უფლებამოსილება მტკიცებულებების, ინფორმაციის მოპოვების შესახებ - სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელეს პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საფუძველს მოკლებულია, დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ: სასკ-ის 22-ე მუხლი, ვინაიდან სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების არასწორად გამოყენება ნიშნავს სასამართლოს მიერ ამ ნორმების გამოყენებლობას. სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრულია შეცვლების სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები. გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს არანაირ მსჯელობას და დასაბუთებას იმის შესახებ, თუ დასაშვებობის რომელ წინაპირობას არ აკმაყოფილებს წინამდებარე სარჩელი სარჩელის წარმოებაში მიღებიდან და დასაშვებად ცნობიდან ერთი წლისა და ერთი თვის შემდეგ. გასაჩივრებულ განჩინება შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობებს და არის სრულიად დაუსაბუთებელი.

4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი, რომლის თანახმად სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება - ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, ქვეყნის მდგრადი განვითარება საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. სწორედ დასახელებული კონსტიტუციურ ნორმაზეა დაფუძნებული გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, სარჩელის სამართლებრივი საფუძვლებში დასაბუთებულად არის წარმოდგენილი მოსარჩელის მოსაზრება აღნიშნულის შესახებ, რომ დაირღვა მისი, როგორც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებული უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში. საგულისხმოა, რომ გასაჩივრებული განჩინება არც ამ სამართლებრივი საფუძვლის საწინააღმდეგო მსჯელობის შესახებ შეიცავს რაიმე დასაბუთებას.

გასაჩივრებული განჩინება მხარეს დადგენილი წესით ჩაჰბარდა 2018 წლის 30 ოქტომბერს შესაბამისად კერძო საჩივარი წარმოდგენილია კანონით განსაზღვრული 12 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით 2018 წლის 12 ნოემბერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

1. მიიღოთ წარმოებაში კერძო საჩივარი.
2. გააუქმოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინება
3. მოხდეს შოთა ბუჩუკურის სარჩელის განხილვა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სულ „1“ ფურცელი

1. სახელმწიფო ბაჟის (50 ლარი) გადახდის ქვითარი.

შოთა ბუჩუკურის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე

შოთა ბუჩუკურის წარმომადგენელი:

ირმა მახათაძე